დამოკიდებულების გავრცელებას ჩრდილო-ირლანდიელი, ბასკი, კორსიკელი, სიკჰი თუ ტამილი ტერორისტების მაგალითიც უწყობს ხელს.

მაგრამ როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობის ლიბერალურ გაგებას იხსენებენ, მის კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევენ ცნობილი ფრანგი მწერლის, ისტორიკოსისა და ფილოლოგის ერნესტ რენანის მიერ 1881 წელს წაკითხულ ლექციას „რა არის ერი“. ძნელია ნახო, თანამედროვე გამოკვლევა ერებისა და ეროვნული მოძრაობების საკითხზე, შიგ რომ რენანის ეს პატარა ნაწარმოები მოხსენიებული არ იყოს. რენანი ახერხებს, თავი აარიდოს ერის ცნების ბიოლოგისტურ და მისტიკურ-მითოლოგიზებულ გაგებებს და, ამავე დროს, არც ქედმაღლურ ეროვნულ ნიჰილიზმში ჩავარდეს. XX საუკუნეში ეს ცოტა ვინმეს თუ გამოსდის. მით უფრო საინტერესო იქნება რენანის სტატიის გაცნობა ჩვენთვის, ერთდროულად ეროვნული დამოუკიდებლობა და დემოკრატია რომ გვიქცევია სანუკვარ პოლიტიკურ იდეალებად.

ერნესტ რენანი

# რა არის ერი?

## I

რომის იმპერიის ალსასრულის ან, უფრო ზუსტად, კაროლინგების იმპერიის[1] დაშლის შემდეგ დასავლეთი ევროპა ერებად დაყოფილი წარმოგვიდგება; ამ ერთაგან ზოგიერთს გარკვეულ ეპოქებში სხვებზე ჰეგემონიის დამყარება უცდია, მაგრამ ხანგრძლივი დროით ვერასოდეს მოუხერხებია. რასაც კარლოს V-მ, ლუი XIV-მ, ნაპოლეონ I-მა ვერ მიაღწიეს, როგორც ჩანს, მომავალში სხვაც ვერ მიაღწევს. ახალი რომის იმპერიის ან ახალი კაროლინგების იმპერიის შექმნა შეუძლებელი გახდა. ევროპის დაყოფა იმდენად შორს არის წასული, რომ უნივერსალური ძალაუფლების დამყარების მცდელობა მაშინვე გამოიწვევს კოალიციის შექმნას, რომელიც ამბიციებს აყოლილ ერს ბუნებით საზღვრებში დააბრუნებს. საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, რუსეთი მიუხედავად მათ თავს გადამხდარი მრავალი ფათერაკისა, საუკუნეების მანძილზე ისტორიულ ინდივიდუალობებად ჩამოყალიბებულან; ისინი წამყვანი ფიგურები არიან საჭადრაკო დაფაზე, და თუმცა წამდაუწუმ იცვლიან მეტ-ნაკლებად საკვანძო და საპატიო უჯრებს, მთლიანად ერთმანეთში არასოდეს ითქვიფებიან.

ასე გაგებული ერები ისტორიისთვის ფრიად ახალი მოვლენაა. უძველესმა ხანამ ისინი არ იცოდა; ეგვიპტეს, ჩინეთს, ძველ ქალდეას ვერანაირად ვერ ვუწოდებთ ერებს. ესენი იყვნენ ტომები, რომელთაც წინ მიუძღოდა ძე მზისა ან ძე ცისა. არ არსებობდა ეგვიპტის მოქალაქე, ისევე როგორც არ არსებობდა ჩინეთის მოქალაქე. კლასიკურ ეპოქაში გვხვდება ქალაქი-სახელმწიფოები და ქალაქი-სამეფოები, კონფედერაციები და ლოკალური რესპუბლიკები, იმპერიები; მათ არაფერი ჰქონდათ საერთო ერებთან ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ათენი, სპარტა, სიდონი[2], ტიროსი[3] სამაგალითო პატრიოტიზმის პატარ-პატარა ცენტრებია; მაგრამ ეს ტერიტორია შედარებით შეზღუდულია. გალია, ესპანეთი, იტალია რომის იმპერიაში შესვლამდე ტომთა დაჯგუფებებს წარმოადგენდნენ, ხშირად გაერთიანებულებს, მაგრამ ცენტრალური დაწესებულებებისა და დინასტიების გარეშე. ასურეთის იმპერია, სპარსეთის იმპერია, ალექსანდრეს იმპერია ასევე არ იმსახურებდნენ „მამულის“ (patrie) სახელს. ასურეთის პატრიოტებს არასოდეს უარსებიათ. სპარსეთის იმპერია ერთი დიდი ფეოდალური სამყარო გახლდათ. არც ერთი ერი არ უკავშირებს თავის წარმოშობას ალექსანდრეს უსაზღვრო ავანტიურას, თუმცა მას უზარმაზარი შედეგები მოჰყვა მთელი ცივილიზაციის ისტორიისათვის.

რომის იმპერია უფრო ახლოს მივიდა იმასთან, რომ მამული გამხდარიყო. თუმცა თავდაპირველად გამოჩენილი დიდი სისასტიკის ფასად, რომის ბატონობამ საბოლოოდ უზარმაზარი სიკეთე მოიტანა — ომიანობა შეწყვიტა — და ამით საკმაოდ მალე მოიგო ხალხის გული. ეს უდიდესი გაერთიანება იყო და წესრიგის, მშვიდობის, ცივილიზაციის სინონიმად იქცა. იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში ამაღლებულ სულებს, ნასწავლ ღვთისმსახურებს, განათლებულთა წრეებს ჩამოუყალიბდათ ნაღდი გრძნობა „რომაული მშვიდობისა“, ბარბაროსთა მუქარიან ქაოსს რომ უპირისპირდებოდა. მაგრამ ვერც იმპერიამ, თორმეტ ახლანდელ საფრანგეთს რომ დაიტევდა, ვერ შექმნა სახელმწიფო თანამედროვე გაგებით. აღმოსავლეთისა და დასავლეთის გათიშვა გარდუვალი აღმოჩნდა. ნაყოფი ვერც მესამე საუკუნეში გალთა იმპერიის შექმნის მცდელობამ გამოიღო. მხოლოდ გერმანთა შემოსევამ შემოიტანა მსოფლიოში პრინციპი, შემდგომ ეროვნებათა არსებობას საფუძვლად რომ დაედო.

კარგად რომ დავაკვირდეთ, მაინც რა გააკეთეს გერმანიკულმა ხალხებმა V საუკუნის დიდი შემოსევებიდან X საუკუნეში ნორმანთა ბოლო ლაშქრობებამდე? რასობრივი ფონდი მათ მცირედ თუ შეცვალეს; სამაგიეროდ, ძველი დასავლური იმპერიის მეტნაკლებად მოზრდილ ნაწილებში დინასტიები და სამხედრო არისტოკრატია გაბატონეს და ამ ნაწილებს მათი დამპყრობლების სახელები მიაღებინეს. აქედან გაჩნდა საფრანგეთი, ბურგუნდია, ლომბარდია; მოგვიანებით, ნორმანდია[4]. ფრანკთა იმპერიის ხანმოკლე აღზევებამ დროებით აღადგინა დასავლეთის ერთიანობა; მაგრამ IX საუკუნის შუახანებში ეს იმპერია საბოლოოდ დაიმსხვრა; ვერდენის ზავმა პრინციპულად შეუვალი ნაწილები გამოყო და ამიერიდან საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, იტალია, ესპანეთი გაუყვნენ ხშირად მიხვეულ-მოხვეულსა და ათასი ფათერაკებით სავსე გზას თავიანთი სრულყოფილი ეროვნული ყოფისკენ, რომელსაც დღეს ყოველი ჩვენგანი თვალნათლივ ხედავს.

მაინც რა ახასიათებს ამ განსხვავებულ სახელმწიფოებს? ეს გახლავთ მათი შემადგენელი მოსახლეობის შეკრულობა. ახლახან ჩამოთვლილ ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობა არაფრით მოგვაგონებს თურქეთს,[5] სადაც თურქები, სლავები, ბერძნები, სომხები, არაბები, სირიელები, ქურთები ამჟამადაც ისევე გამოყოფილნი არიან ერთმანეთისაგან, როგორც დაპყრობის დღეს. ეს შედეგი ორმა არსებითმა გარემოებამ განაპირობა. ჯერ ერთი, ისე მოხდა, რომ გერმანიკულმა ხალხებმა, როგორც კი ბერძნებთან და ლათინებთან რამდენადმე ხანგრძლივ კონტაქტში შევიდნენ, ქრისტიანობა მიიღეს. სადაც დამპყრობელსა და დაპყრობილს ერთი რწმენა აქვს, ან, მით უმეტეს, დამპყრობელს დაპყრობილის რწმენა მიუღია, იქ ვეღარ ჩამოყალიბდება თურქეთის სისტემა — ადამიანთა სრული გათიშულობა რელიგიის ნიშნით. მეორე გარემოება ის იყო, რომ დამპყრობლებმა საკუთარი ენა დაივიწყეს. კლოვისის, ალარიხის, გონდებონდის, ალბოინის, როლონის[6] შვილიშვილები უკვე რომანულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ეს თავის მხრივ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვითარების შედეგი იყო: ფრანკებს, ბურგონდებს, გუთებს, ლანგობარდებს, ნორმანებს თა-

კიანთი მოდგმის ქალები ნაკლებად წამოეყვანათ. რამდენიმე თაობის განმავლობაში წინამძღოლები მხოლოდ გერმანელ ქალებს ირთავდნენ, მაგრამ ხასები ლათინები ჰყავდათ, შვილების ძიძებადაც ლათინ ქალებს იყვანდნენ; მთელი ტომი ლათინ ქალებს ირთავდა; ყოველივე ამის ბრალი იყო, რომ მას შემდეგ, რაც ფრანკები და გუთები რომანულ ტერიტორიებზე დამკვიდრდნენ, lingua francica-ს და lingua gothica-ს დიდი დღე აღარ ეწერა. ასე არ იყო საქმე ინგლისში; ანგლო-საქსებს ლაშქრობისას უეჭველად ქალებიც ახლდნენ; ბრიტებს[7] მოსახლეობამ თავს უშველა და, თანაც, ლათინური აღარ დომინირებდა, ან, მეტიც, არც არასოდეს ყოფილა გაბატონებული ბრიტანეთში. თუ გალიაში მეხუთე საუკუნისთვის ძირითადად გალურს ლაპარაკობდნენ, კლოვისს და მისიანებს გერმანიკულზე არ უთქვამთ უარი გალურის სასარგებლოდ.

აქედან გამომდინარეობს უმთავრესი შედეგი, რომ, მიუხედავად გერმანელ დამპყრობელთა უკიდურესი სისასტიკისა, მათი გამოჭრილი ყალიბი საუკუნეების განმავლობაში ერის ყალიბადაც იქცა. „საფრანგეთი" სავსებით კანონიერად დაერქვა ქვეყანას, რომელშიც ფრანკები მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ. მეათე საუკუნეში, პირველ საგმირო ეპოსებში, საუკეთესოდ რომ ასახავენ დროის სულისკვეთებას, საფრანგეთის ყველა მაცხოვრებელს „ფრანგი" ერქვა. საფრანგეთის მოსახლეობაში რასობრივი განსხვავების იდეა, აშკარად გამოხატული გრიგოლ ტურელთან,[8] ჰუგო კაპეტის[9] შემდგომ ფრანგ მწერლებთან და პოეტებთან არანაირად აღარ ჩანს. კეთილშობილისა და მდაბიოს განსხვავებას რაც შეიძლება მეტად ესმევა ხაზი; მაგრამ მასში არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ეთნიკური სხვაობა; განსხვავება თავს იჩენს ვაჟკაცობაში, ზრდილობასა და განათლებაში, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა; ის, რომ ყოველივეს ძირში დაპყრობის აქტია, აზრად არავის მოსდის. ყალბი წარმოდგენა, თითქოს დიდგვაროვნება ერის მიმართ გაწეული განსაკუთრებული სამსახურისთვის მეფის ნაბოძებ პრივილეგიას ეფუძნებოდა, ე. ი. ყოველი დიდგვაროვანი თავის დროზე „გააზნაურებული" გამოდიოდა, დოგმატური სახით დადგინდა XIII საუკუნიდან. ნორმანთა თითქმის ყველა შემოსევის შემდეგ ერთი და იგივე ხდებოდა. ერთი-ორი თაობა რომ ჩაივლიდა, ნორმანი დამპყრობლები დანარჩენი მოსახლეობისაგან თავს აღარ განასხვავებდნენ; მათი გავლენა ამის გამო არ მცირდებოდა; ისინი უქმნიდნენ დაპყრობილ ქვეყანას დიდგვაროვანთა წრეს, უნერგავდნენ სამხედრო ჩვევებსა და პატრიოტიზმს, რაც მას მანამდე არ მოეპოვებოდა.

დავიწყება და, მე ვიტყოდი, ისტორიული შეცდომაც კი ერის ჩამოყალიბების არსებითი ფაქტორია. ისტორიული კვლევის განვითარება ხშირად ხიფათს უქმნის ერს. ისტორიული მეცნიერება, ფაქტიურად, სამზეოზე აბრუნებს ძალადობის აქტებს, რომლებიც ყველა პოლიტიკური ერთეულის შექმნას ახლავს თან, რაც გინდა სასურველი აღმოჩნდეს ამ ისტორიულ ხდომილებათა საბოლოო შედეგი. ერთიანობა ყოველთვის ბრუტალური მეთოდებით მიიღწევა; ჩრდილო და შუა საფრანგეთის კვლავგაერთიანებას თითქმის ერთსაუკუნოვანი განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტა და ტერორი უძღოდა წინ. გავბედავ და ვიტყვი, რომ საფრანგეთის მეფე საერო კრისტალიზაციის იდეალური ტიპია და მან ყველაზე სრულყოფილი ეროვნული ერთობა ჩამოაყალიბა ოდესმე არსებულთაგან. მაგრამ, მეტისმეტად ახლო პერსპექტივიდან რომ შეხედეს, მასაც სახელი გაუტყდა; მისმა შექმნილმა ერმა შეაჩვენა იგი და დღეს მხოლოდ ყველაზე განათლებულმა სულებმა თუ იციან მისი დამსახურება და მიღწევები.

დასავლეთევროპული ისტორიის ამ დიდ კანონებს კონტრასტი დაგვანახებს თვალსაჩინოდ. ამ წამოწყებაში, საფრანგეთის მეფემ ნაწილობრივ ტირანიის, ნაწილობრივ კი, კანონის მეშვეობით ეგზომ ბრწყინვალედ რომ დაასრულა, ბევრ ქვეყანას მოეცარა ხელი. სენტ-ეტიენის გვირგვინის ქვეშ მადიარები და სლავები ისევე გათიშულნი დარჩნენ, როგორც რვა საუკუნით ადრე. ჰაბსბურგების სახლს[10] არავითარი იმედი არ ჰქონდა, რომ თავის სამფლობელოთა არაერთგვაროვანი ნაწილების შერწყმას მოახერხებდა და ისინი დანაწევრებული, ხშირად ურთიერთდაპირისპირებული სახით შეინარჩუნა. ბოჰემიაში[11] ჩეხური და გერმანული ელემენტები ჭიქაში ჩასხმული წყლისა და ზეთის შრეებივითაა გამოყოფილი. გაცილებით უფრო შორს მიმავალი შედეგები გამოიწვია რელიგიის მიხედვით ეროვნებათა დაცალცალკევების პოლიტიკამ თურქეთში: მან აღმოსავლეთი სწრევამდე მიიყვანა. აიღეთ რომელიმე ქალაქი, მაგალითად, სალონიკი[12] ან სმირნა:[13] თქვენ ნახავთ ხუთ თუ ექვს თემს, რომელთაგან ყოველს თავ-თავისი წარსული აქვს მოსაგონრად და ერთმანეთთან კი თითქმის არაფერი აერთიანებს. ხოლო ერის არსი ისაა, რომ ყველა ინდივიდს ბევრი რაიმე საერთო აქვს, და კიდევ ის, რომ მათ ბევრი რამ აქვთ დავიწყებული. არც ერთმა ფრანგმა მოქალაქემ არ იცის, ბურგონდიელია, ალანი, ტაიფალი თუ ვისიგუთი;[14] ყოველი ფრანგი მოქალაქე ვალდებულია დავიწყებული ჰქონდეს ბართლომეს ღამე[15] და XIII საუკუნის ხოცვა-ჟლეტა ცენტრალურ საფრანგეთში. საფრანგეთში ათი ოჯახიც არ მოიძებნება ისეთი, რომ ფრანკებისაგან თავისი წარმოშობის საბუთი წარმოადგინოს, და რომც მოიძებნილიყო, ასეთი საბუთი არსებითად გაყალბებული იქნებოდა ათასგვარი უცნობი ნათესაური კავშირით, რაც გენეალოგისტთა სისტემებს სულ აურ-დაურევდა.

მაშასადამე, თანამედროვე ერი ის-

ბის მქონე ხდომილებათა ჯაჭვისა. ხანდახან ერთიანობა ხორციელდება რომელიმე დინასტიის მიერ, როგორც საფრანგეთში; ხანდახან — პროვინციათა ნების პირდაპირი გამოხატვით, როგორც ჰოლანდიაში, შვეიცარიასა და ბელგიაში; ხან კი — საერთო ნებით, ძალით, დაგვიანებით რომ ძლევს ფეოდალიზმის ახირებებს, როგორც იტალიასა და გერმანიაში. მათ ჩამოყალიბებას ყოველთვის რაღაც ღრმა გამართლება ედო სარჩულად. ასეთ შემთხვევებში ამ საწყისებმა შეიძლება სრულიად მოულოდნელი მოვლენების წყალობით იჩინონ თავი. სულ ახლახან დავინახეთ, როგორ გააერთიანა იტალია მისმა დამარცხებებმა და როგორ დაანგრია თურქეთი გამარჯვებებმა. ყოველი დამარცხება წინ სწევდა იტალიის საქმეებს; ყოველი გამარჯვება დაღუპვასთან აახლოებდა თურქეთს; რამეთუ იტალია ერია, თურქეთი კი, მცირე აზიის გარდა — არა. საფრანგეთისთვის საამაყოა, რომ მან საფრანგეთის რევოლუციის მეშვეობით გამოაცხადა: ერი საკუთარ თავზე დაყრდნობით არსებობსო. ცუდი არაფერი უნდა დავინახოთ იმაში, რომ სხვები გვბაძავენ. ერების პრინციპი ჩვენი პრინციპია. მაგრამ მაინც რა არის ერი? რატომაა, რომ ჰოლანდია ერია, ჰანოვერი ან პარმის დიდი საჰერცოგო კი არა? როგორ ინარჩუნებს საფრანგეთი ერის სახით არსებობას მას შემდეგ, რაც მისი ჩამოყალიბების წინამძღვარი გაქრა? რატომაა, რომ შვეიცარია თავისი სამი ენით, ორი რელიგიით, სამი თუ ოთხი რასით ერთი ერია, მაშინ როდესაც, მაგალითად, ეგზომ ერთგვაროვანი ტოსკანა ერი არ არის? რატომაა ავსტრია[16] სახელმწიფო, მაგრამ არა ერი? რის საფუძველზე განვასხვავოთ ეროვნების პრინციპი რასის პრინციპისაგან? ყურადღება მარეფლექსირებელი გონებისა, რომელსაც სურს თავის თავთან თანხმობაში მოვიდეს, ამ საკითხებზეა მიპყრობილი. ამგვარი ბჭობა მსოფლიოს საქმეებს ვერ

უნდათ რამდენადმე მაინც მოჰფინონ გონების ნათელი ამ პრობლემებს, გაუგებრობები თავიდან აიცილონ ან ზედაპირულად მოაზროვნეებს თავ-გზა აუბნიონ.

## II

ზოგიერთ პოლიტიკის თეორეტიკოსს რომ მოვუსმინოთ, ერი უპირველეს ყოვლისა ოდესღაც განხორციელებული დაპყრობის საფუძველზე შექმნილი დინასტიაა, დაპყრობისა, რომელსაც ხალხის მასები ჯერ შეეგუენ, მერე კი დაივიწყეს. აქ ნაგულისხმევი პოლიტიკოსების მიხედვით, დინასტიის, მისი ომების, მისი ქორწინებებისა და ხელშეკრულებების მეშვეობით ჩამოყალიბებული პროვინციათა დაჯგუფება არსებობას წყვეტს მისი შემდგენელი დინასტიის აღსასრულთან ერთად. სრული სიმართლეა, რომ თანამედროვე ერთა უმრავლესობა შექმნილია ფეოდალური წარმოშობის მქონე ოჯახის მიერ, რომელმაც მიწაზე იქორწინა და რაღაც გზით ცენტრალიზაციის ბირთვად იქცა. 1789 წლის საფრანგეთის საზღვრები არც ბუნებრივი იყო და არც აუცილებელი. მოზრდილი ტერიტორია, რაც კაპეტთა სახლმა ვერდენის ხელშეკრულებით დადგენილ შევიწროებულ საზღვრებს დაუმატა, ამ სახლის პირადი მონაპოვარი იყო. ეპოქაში, როცა ანექსიები ხდებოდა, არ არსებობდა არავითარი წარმოდგენა არც ბუნებრივ საზღვრებზე, არც პროვინციათა ნებაზე. ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის გაერთიანება ამავე დროს დინასტიური მოვლენა იყო. იტალიას მხოლოდ იმიტომ დააგვიანდა ამდენ ხანს ერად ჩამოყალიბება, რომ მრავალ მმართველ სამეფო კარს შორის ჩვენს საუკუნემდე ვერც ერთი ვერ გახდა ერთიანობის ცენტრი. უცნაური ამბავია: სამეფო ტიტული მაინცდამაინც სარდინიის გაურკვეველმა კუნძულმა მიიღო, რომელიც ძნელად თუ ჩაითვლება იტალიურ მიწად.* ჰოლანდია, რომელმაც გმირული სიმტკიცის წყალობით თვითონ შექმნა საკუთარი თავი, ამავე დროს ინტიმურ ქორწინებაში შევიდა ორანჟთა სახლთან და ნამდვილ ხიფათს გადაეყარა, როგორც კი ეს ქორწინება ეჭვის ქვეშ დადგა[17].

მაგრამ აბსოლუტურია თუ არა ასეთი კანონი? რა თქმა უნდა, არა. შვეიცარიასა და შეერთებულ შტატებს, რომლებიც ახალ-ახალი შიერთებების გზით ჩამოყალიბებულ კონგლომერატებს წარმოადგენენ, არავითარი დინასტიური საფუძველი არა აქვთ. მე არ დავიწყებ კამათს საკითხზე, რომელიც საფრანგეთს ეხება. სამისოდ მომავლის საიდუმლოს ქონა იქნებოდა საჭირო. დიდი ფრანგული სამეფო ხელისუფლების ეროვნული ხასიათის წარმოსაჩენად იმის თქმაც საკმარისია, რომ მისი გადაგდების შემდეგ ერმა უმისოდაც შეინახა თავი. თუმცა XVIII საუკუნემ ყველაფერი შეცვალა. საუკუნოვანი დამცირების შემდეგ ადამიანი ანტიკურ სულისკვეთებას, საკუთარი თავის პატივისცემას, მისი უფლებების იდეას დაუბრუნდა. სიტყვებმა „მამული“ და „მოქალაქე“ თავიანთი საზრისი დაიბრუნეს. ამგვარად, შეუძლებელი გახდა მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე უფრო თამამი ოპერაციის შესრულება: ფიზიოლოგიაში იგი შეიძლება შევადაროთ მცდელობას, ტვინ-დაბულგამოცლილი გვამი მისი პირვანდელი რაგვარობით გაცოცხლდეს.

მაშასადამე, უნდა დავუშვათ, რომ ერს შეუძლია დინასტიური საწყისის გარეშეც იარსებოს, და კიდევ, რომ დინასტიების მიერ შექმნილ ერებს შეუძლიათ ისე გამოეთხოვონ ამ დინასტიებს, რომ ამის გამო არსებობა არ შეწყვიტონ. ძველი პრინციპი, რომელიც მხოლოდ ხელმწიფის სამართალს უწევდა ანგარიშს, ველარ შენარჩუნდება; დინასტიური სამართლის გარდა, ეროვნული სამართალიც არსებობს. რა კრიტერიუმზე შეიძლება დავამყაროთ ეს ეროვნული სამართალი? რა ნიშნით უნდა გამოვარჩიოთ იგი? რა ხელშესახები სინამდვილიდან გამოვიყვანოთ?

I. რასობრივიდანო; — დაბეჯითებით გვეუბნებიან ზოგიერთები. ფეოდალური დაქუცმაცებულობიდან, ხელმწიფეთა ქორწინებებიდან, დიპლომატთა შეთანხმებებიდან მომდინარე ხელოვნური დაყოფები ოდენ მეორადია. მყარი და უცვლელი მხოლოდ მოსახლეობის რასაა. ამიტომ ესაა, რაც შეადგენს სამართლის, კანონიერების საფუძველს. აქ წარმოდგენილი თეორიის მიხედვით, მაგალითად, გერმანიკულ ოჯახს უფლება აქვს კვლავ შემოიერთოს თავისი დაქსაქსული წევრები, თუნდაც ეს უკანასკნელნი ასეთ გაერთიანებას არ მოითხოვდნენ. გერმანიზმის უფლება ასეთ ქვეყნებზე თავის თავზე უფლებაა. ამგვარად იქმნება თავისებური პირველყოფილი სამართალი, რომელიც ანალოგიურია მეფეთა ღვთით ბოძებული უფლებისა; ერების პრინციპი ეთნოგრაფიული პრინციპით იცვლება. აქ გვაქვს უმძიმესი შეცდომა, რომელიც, თუ გაბატონდა, დაღუპავს უქადის ევროპულ ცივილიზაციას. რამდენადაც ერის პრინციპი სამართლიანი და კანონიერია, იმდენადვე პირველყოფილი სამართლის რასობრივი პრინციპი შეზღუდულია და უდიდესი საფრთხის მომტანია ნამდვილი პროგრესისათვის.

შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ არქაულ ტომსა თუ ქალაქში რასის ფაქტორს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ანტიკური ტომი თუ ქალაქი მხოლოდ ოჯახის მოცულობისაა. სპარტაში, ათენში ყველა მოქალაქე ერთმანეთთან ნათესაობის რაღაც ხარისხითაა დაკავშირებული. ასევე იყო ბენი-ისრაელში; იგივე მდგომარეობაა არაბულ ტომებში. ათენიდან, სპარტიდან, ისრაელთა ტომიდან რომის იმპერიაში გადმოვინაცვლოთ. სიტუაცია სრულიად განსხვავებულია. ერთმანეთთან რაიმე საერთოს არმქონე ქალაქებისა და ქვეყნების ამ უზარმაზარმა აგლომერაციამ, რომელიც თავდაპირველად ძალადობის მეშვეობით შეიქმნა, შემდეგ კი ინტერესის საფუძველზე იქნა შენარჩუნებული, რასის იდეას უმძიმესი ლახვარი ჩასცა. ქრისტიანობამ თავისი უნივერსალური და აბსოლუტური ხასიათის წყალობით დიდი წარმატებით განაგრძო მუშაობა იმავე მიმართულებით. მან მჭიდრო შინაგანი კავშირი დაამყარა რომის იმპერიასთან და უნიფიკაციის ამ ორმა შეუდარებელმა აგენტმა ეთნოგრაფიული მოტივი მრავალი საუკუნით განდევნა ადამიანური საქმეების მართვიდან.

ბარბაროსების შემოჭრა, თუნდაც ერთი შეხედვით სხვაგვარად მოგვეჩვენოს, ამავე გზაზე კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ბარბაროსთა მეფეები ტერიტორიების დანაწილებისას ეთნოგრაფიას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ; ყველაფერს ძალა ან დამპყრობელთა ახირება წყვეტდა. ქვეშევრდომი მოსახლეობის რასა დამპყრობელს არაფერში აინტერესებდა. კაროლინგების იმპერიაში თავისებური სახით ხელახლა განხორციელდა ის, რაც რომს ერთხელ უკვე გაკეთებული ჰქონდა: სრულიად განსხვავებული რასებისაგან ერთიანი იმპერია ჩამოყალიბდა; ვერდენის ზავის ავტორებს აუღელვებლად რომ ავლებდნენ ორ გრძელ ხაზს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ოდნავი ყურადღებაც არ მიუქცევიათ, თუ რა რასის ხალხები დარჩებოდნენ მარჯვნივ ან მარცხნივ. საზღვრის გადანაცვლებები, რომლებიც შუა საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, აგრეთვე არ ითვალისწინებდა რაიმე ეთნოგრაფიულ თავისებურებას. ის, რომ კაპეტთა სახლის თანმიმდევრულმა პოლიტიკამ ძველი გალიის თითქმის მთელ ტერიტორიას მოუყარა თავი საფრანგეთის სახელის ქვეშ, სულაც არ ყოფილა შედეგი მონათესავე პროვინციების ერთ ქვეყნად გაერთიანებისკენ სწრაფვისა. დოფინეს, ბრესს, პროვანსს,

* სავოის სახლი თავის სამეფო ტიტულს მხოლოდ და მხოლოდ სარდინიის ფლობას უმადლის (1720).

ფრანშ-კონტეს[18] საერთო წარმოშობისა ალარაფერი ახსოვდათ. გალური ცნობიერება ჩვ. წ. II საუკუნის შემდეგ მთლიანად დაიკარგა და დღეს მხოლოდ განსწავლულ მზერას შეუძლია რეტროსპექტულად აღმოაჩინოს გალური ხასიათის განსაკუთრებულობა.

მაშასადამე, ეთნოგრაფიულ ფაქტორს თანამედროვე ერების ჩამოყალიბებაში რაიმე მნიშვნელობა არა ჰქონია. საფრანგეთი არის კელტური, იბერიული, გერმანიკული. გერმანია არის გერმანიკული, კელტური და სლავური. იტალიის ეთნოგრაფიული სურათი ხომ მთლად გაურკვეველია. გალები, ეტრუსკები, პელასგები, ბერძნები, რომ არაფერი ვთქვათ მრავალ სხვა ელემენტზე, ერთ დაუნაწევრებელ მასად არიან შეთქვეფილნი. ბრიტანეთის კუნძულები მათ მთლიანობაში წარმოადგენენ კელტური და გერმანიკული სისხლის ნარევს, და ამ ორი ელემენტის პროპორციების განსაზღვრა მეტად ძნელია.

სიმართლე ისაა, რომ წმინდა რასა არ არსებობს და პოლიტიკის ეთნოგრაფიულ ფაქტორზე დამყარება ქიმერებზე დაყრდნობას ნიშნავს. ყველაზე სახელოვანი ქვეყნები — ინგლისი, საფრანგეთი, იტალია ის ქვეყნებია, სადაც სისხლი ყველაზე უფრო არეულია. ხომ არ არის გერმანია გამონაკლისი ამ მიმართებით? ხომ არ არის გერმანია წმინდა ქვეყანა? რა ილუზიაა! მთელი სამხრეთი გალურია. მთელი აღმოსავლეთი, ელბიდან მოყოლებული, სლავურია. რაც შეეხება ნაწილებს, რომელთაც სიწმინდის პრეტენზია აქვთ, ვითომ მართლა ასეთები არიან? აქ ჩვენ ვეხებით ერთ-ერთ პრობლემათაგანს, რომელთან დაკავშირებით ნათელი წარმოდგენის შექმნა და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დისკუსიები რასის საკითხებზე გარდუვალია, რადგან სიტყვა „რასა“ ისტორიკოს-ფილოლოგთა და ანთროპოლოგ-ფიზიოლოგთა მიერ სრულიად სხვადასხვაგვარი აზრით იხმარება*. ანთროპოლოგიისათვის რასას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ზოოლოგიისთვის: იგი გულისხმობს რეალურ წარმომავლობას, სისხლისმიერ მშობლებს. მაგრამ ენისა და ისტორიის შესწავლა არ მიჰყვება იმავე დაყოფებს, რასაც ფიზიოლოგია. სიტყვებს „ბრახიცეფალი“ და „დოლიხოცეფალი“ არც ისტორიაში და არც ფილოლოგიაში ადგილი არა აქვს. არიული ენებისა და დისციპლინების შემქმნელ ადამიანთა ჯგუფში იმთავითვე ერიენ ბრახიცეფალებიც და დოლიხოცეფალებიც. იგივე ითქმის პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფზე, ვინც სემიტურად წოდებული ენები და ინსტიტუციები შექმნა. სხვა სიტყვებით, კაცობრიობის ზოოლოგიური წარმომავლობა უზარმაზარი დისტანციითაა დაშორებული დროში კულტურის, ცივილიზაციის, ენის წარმოშობას. პირველყოფილ არიელებს, პირველყოფილ სემიტებს, პირველყოფილ თურანებს არავითარი ფიზიოლოგიური ერთობა არა ჰქონდათ. ეს დაჯგუფებები წარმოადგენენ გარკვეულ ეპოქაში, დავუშვათ, თხუთმეტი-ოცი ათასი წლის წინ ჩამოყალიბებულ ისტორიულ მოცემულობებს, მაშინ როდესაც კაცობრიობის ზოოლოგიური წარმოშობა წარსულის გაურკვეველ წყვდიადში იკარგება. ის, რასაც ფილოლოგიასა და ისტორიაში „გერმანიკული რასა“ ჰქვია, უთუოდ კარგად გამოყოფილი ოჯახია ადამიანის გვარში. მაგრამ არის თუ არა ეს ოჯახი ანთროპოლოგიური აზრით? რა თქმა უნდა, არა. გერმანიკული ინდივიდუალობა თავს ავლენს ისტორიაში მხოლოდ ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე. სავარაუდოა, რომ გერმანები ამ ეპოქაში არ ამოზრდილან მიწიდან. მანამდე, სლავებთან ერთად სკვითების უზარმაზარ მასაში გაფან-

* ეს საკითხი განხილულ იქნა კონფერენციაზე, რომლის მასალებსაც შეგიძლიათ გაეცნოთ საფრანგეთის სამეცნიერო ასოციაციის (L'Association scientifigue de France) 1878 წლის 10 მარტის ბიულეტენში.



ტულთ, საკუთარი გამორჩეული ინდივიდუალობა არ გააჩნდათ. ინგლისელი ნამდვილად არის ერთ-ერთი ტიპი საკაცობრიო ანსამბლში, მაგრამ ის ტიპი, რომელსაც სრულიად უმართებულოდ უწოდებენ ანგლო-საქსურ რასას,* არ არის არც კეისრის ხანის ბრიტანელი, არც ანგისტის[19] ანგლო-საქსი, არც კნუტის[20] დანიელი, არც ვილჰელმ დამპყრობელის ნორმანი,[21] ეს ტიპი ყოველივე ამის შედეგადაა მიღებული. ფრანგი არც გალია, არც ფრანკია, არც ბურგონდიელი. იგი ამოსულია უზარმაზარი ქვაბიდან, რომელშიც, საფრანგეთის მეფის მეთვალყურეობის ქვეშ, უაღრესად განსხვავებულ ელემენტთა ერთობლიობა გადადუღდა. ჯერსისა თუ გერნსის[22] მაცხოვრებელი არაფრით არ განსხვავდება წარმომავლობის მხრივ მეზობელი სანაპიროს ნორმანდიული მოსახლეობისაგან. XI საუკუნეში ყველაზე დაკვირვებული თვალიც კი სრუტის ორ სანაპიროს შორის უმცირეს განსხვავებასაც ვერ იპოვიდა. უმნიშვნელო გარემოებათა გამო ფილიპ-ოგიუსტმა[23] ეს კუნძულები დანარჩენ ნორმანდიასთან ერთად ვერ აიღო. შვიდი საუკუნის განმავლობაში ურთიერთგამოყოფილი ხალხი არა მხოლოდ ერთმანეთისთვის სრულიად უცხო გახდა, არამედ სრულიად განსხვავებულიც. მაშასადამე, რასა, როგორც ის გვესმის ჩვენ, ისტორიკოსთა საძმოს, რაღაც ისეთია, რაც იქმნება და იშლება. კაცობრიობის ისტორიაზე მომუშავე მეცნიერისთვის რასის შესწავლას ძირეული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ პოლიტიკისთვის ის უსარგებლოა. ინსტინქტური ცნობიერება, რომელიც ევროპის რუკის გამოჭრას ხელმძღვანელობდა, რასას არავითარ ანგარიშს არ უწევდა, და ევროპის მოწინავე ერები ისინია, რომელთაც სისხლი საფუძვლიანად არეული აქვთ.

მაშასადამე, რასის ფაქტორი, დასაბამისას ძირითადი, სულ უფრო და უფრო კარგავს თავის მნიშვნელობას. კაცობრიობის ისტორია არსებითად განსხვავდება ზოოლოგიისაგან. რასა სულაც არ არის გადამწყვეტი რამ, როგორც მღრღნელებთან ან კატისებრებთან, და არავითარი უფლება არა გვაქვს, აქეთ-იქით ვიაროთ, ადამიანებს თავის ქალები მოვუსინჯოთ, მერე ყელში ვწვდეთ და ვუძახოთ: „შენ ჩვენი სისხლისა ხარ! შენ ჩვენიანი ხარ!“ გარდა ანთროპოლოგიური ხასიათისა, კიდევ არის გონება, სამართალი, ჭეშმარიტება, სილამაზე, რაც ყველასთვის საერთოა. აშკარაა, რომ ეს ეთნოგრაფიული პოლიტიკა სანდო არაა. დღეს თქვენ მას სხვის წინააღმდეგ მიმართავთ; მაგრამ დაინახავთ, რომ ხვალ თქვენვე შემოგიბრუნდებათ. რა გარანტია აქვთ გერმანელებს, მაღლა რომ აუწევიათ ეთნოგრაფიის დროშა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სლავებიც არ დაუწყებენ კირკიტს საქსონიისა და ლუზასის სოფელთა სახელებს, არ ჩაეძიებიან ვილცებისა და ობოტრიტების[24] ნაკვალევს და ისევე არ მოსთხოვენ ანგარიშს ყველა დარბევისა და ხოცვა-ჟლეტისათვის, როგორც ოთონებმა მოსთხოვეს მათ მამა-პაპებს? ყველასათვის საუკეთესო გამოსავალია, დავიწყების ხელოვნებას დაეუფლოს.

მე ძლიერ მიყვარს ეთნოგრაფია; ეს საოცრად საინტერესო მეცნიერებაა; მაგრამ რაკი მინდა, იგი თავისუფალი ვიხილო, არა მსურს პოლიტიკასთან კავშირი ჰქონდეს. ეთნოგრაფიაში, ისევე როგორც ყველა მეცნიერებაში, სისტემები იცვლება; ეს პროგრესის წინაპირობაა. გამოდის, ერებიც სისტემებთან ერთად უნდა შეიცვალონ? მაშინ სახელმწიფოთა შორის საზღვრებმა მეცნიერების სახეცვლილებებს უნდა მისდიონ. პატრიოტიზმი მეტნაკლებად

* გერმანიკული ელემენტები როვომ-უნიში თავისი სიძლიერით არ აღემატებოდა მათ გავლენას საფრანგეთში, ელზასისა და მეტცის ფლობის ხანაში. გერმანიკულმა ენამ ბრიტანეთის კუნძულები დაიპყრო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ გალურისაგან განსხვავებით კელტური იდიომები ლათინურმა მთლიანად ვერ განდევნა.

პარადოქსულ დისერტაციაზე იქნებოდა დამოკიდებული. შეგეძლებოდათ პატრიოტისთვის გეთქვათ: „თქვენ ცდებით; თქვენ ამა და ამ საქმისთვის დაგიღვრიათ სისხლი; თქვენ გგონიათ, რომ კელტი ხართ; სინამდვილეში, გერმანი ბრძანებულხართ“. შემდეგ, ათი წელი რომ გავიდოდა, ვიღაცა მოგადგებოდათ და გეტყოდათ, სლავი ყოფილხართო. მეცნიერების დამახინჯებას თავი რომ დავაღწიოთ, აღარ უნდა ვკითხოთ მას რჩევა ამდენ სხვადასხვა ინტერესთან დაკავშირებულ საკითხებზე. დარწმუნებული იყავით, რომ თუ მას დიპლომატებისათვის მასალების მიწოდებას დავავალებთ, ერთ მშვენიერ დღეს აშკარა პირმოთნეობაზეც წავასწრებთ. მას თავისი საქმე აქვს საკეთებელი; მოდით, უბრალოდ ჭეშმარიტება მოვთხოვოთ.

II. ის, რაც ზემოთ რასაზე ვთქვით, ენაზეც უნდა გავრცელდეს. ენა გასაერთიანებლად გვიწვევს; მაგრამ იგი აუცილებლობით არ მოითხოვს ერთიანობას. შეერთებული შტატები და ინგლისი, ესპანური ამერიკა და ესპანეთი ერთსა და იმავე ენებზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთ ერს არა ქმნიან. პირიქით, შვეიცარია, რომელიც ასე კარგადაა აგებული, რადგან განსხვავებული ნაწილების ურთიერთშეხამებას ემყარება, სამ თუ ოთხ ენას ითვლის. ადამიანში არის რაღაც ისეთი, რაც ენას აღემატება: ეს გახლავთ ნება. შვეიცარიის ნება, იყოს ერთიანი მიუხედავად ენათა სიმრავლისა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამაა, ვიდრე ენობრივი ერთიანობა, ხშირად ვიღაცის დაჩაგვრის ფასად რომ მოიპოვება.

საფრანგეთისთვის თავმოსაწონი ამბავია, რომ მას არასოდეს უცდია ენობრივი ერთიანობისთვის ძალადობის მეშვეობით მიეღწია. განა არ შეიძლება, გქონდეს ერთი გრძნობები და ერთი ფიქრები, გიყვარდეს ერთი და იგივე საგნები და სხვადასხვა ენები? ჩვენ სულ ახლახანს ვლაპარაკობდით, თუ რამდენად შეუფერებელი იქნებოდა საერთაშორისო პოლიტიკის ეთნოგრაფიაზე დამყარება. არაფრით აჯობებდა მისი დაფუძნება შედარებით ფილოლოგიაზე. დავუტოვოთ ამ საინტერესო დარგს დისკუსიათა სრული თავისუფლება; ნუ გავრევთ რაღაც ისეთში, რაც უშფოთველობას დაურღვევდა. პოლიტიკური მნიშვნელობა, რასაც ენებს ანიჭებენ, იქიდან მოდის, რომ მათ რასის ნიშნებად განიხილავენ. ამაზე მცდარი არაფერი შეიძლება იყოს. პრუსიაში, სადაც გერმანულის გარდა აღარც ერთი ენა არ იციან, რამდენიმე საუკუნის წინ სლავურად საუბრობდნენ; უელსში ინგლისურად ლაპარაკობენ; გალია და ესპანეთი ალბ-ლალონჟის პრიმიტიულ დიალექტს ხმარობენ; ეგვიპტე არაბულად მეტყველებს: მაგალითები უთვალავია. წარმოშობის თვალსაზრისითაც, ენობრივი მსგავსებიდან სულაც არ გამომდინარეობს რასობრივი ნათესაობა. ავიღოთ პროტო-არიული ან პროტო-სემიტური ტომები; მრავალი მონა თავისი ბატონების ენაზე ლაპარაკობდა; მაგრამ მონა მაინც უფრო ხშირად ბატონისგან განსხვავებული რასის წარმომადგენელი იყო. გავიმეოროთ: ინდოევროპული, სემიტური და სხვა ენობრივი ჯგუფები, ეგზომ გამჭრიახად გამოყოფილნი შედარებითი ენათმეცნიერების მიერ, ანთროპოლოგიურ დაჯგუფებებს არ ემთხვევა. ენები ისტორიული წარმონაქმნებია, რომელთაგან მათზე მოლაპარაკე ხალხის სისხლის შესახებ ძალიან ცოტა რამეს თუ შევიტყობთ. და ნებისმიერ შემთხვევაში, ენა ადამიანისათვის ვერაფერი თავისუფლების მომტანი იქნებოდა, მას რომ წინასწარ განესაზღვრა, რა ოჯახებად უნდა გაერთიანდნენ ადამიანები სიკვდილისა თუ სიცოცხლისათვის.

მხოლოდ და მხოლოდ ენაზე ამგვარ დამყარებას, რასობრივი ფაქტორის გაზვიადების მსგავსად, თავისი საფრთხე, თავისი შეუსაბამობანი მოჰყვება. ამ მხრივ ზომის გადაჭარბება იწვევს განსაზღვრულ, ეროვნულად ჩათვლილ კულტურაში ჩაკეტვას; გამოდის თვითშეზღუდვა, თავისი თავის ჩამწყვდევა. ადამიანი უარს ამბობს კაცობრიობის გაშლილ ველზე სუფთა ჰაერით ისუნთქოს და თანამემამულეთა სექტაში გამოკეტვას არჩევს. არაფერი შეიძლება იყოს უარესი სულისთვის; არაფერი შეიძლება იყოს უფრო აუტანელი კულტურისათვის. ნუ მივატოვებთ იმ ფუნდამენტურ პრინციპს, რომ ადამიანი ჯერ გონიერი და ზნეობრივი არსებაა, და მხოლოდ მერეა ჩასმული ამადაამ ენობრივ სამყაროში, მერეა წევრი ამადაამ რასის, მერეა მემკვიდრე ამადაამ კულტურისა. ფრანგულ კულტურას, გერმანულ კულტურას, იტალიურ კულტურას ადამიანური კულტურა უსწრებს წინ. შეხედეთ რენესანსის დიდ ადამიანებს; ისინი არც ფრანგები იყვნენ, არც იტალიელები, არც გერმანელები. ანტიკურობასთან ნაცნობობის წყალობით მათ კვლავ მიაგნეს ნამდვილი განათლებისა და ადამიანური გონის საიდუმლოს და მას შესწირეს თავისი სულიცა და სხეულიც. რა კარგია, ასე რომ მოიქცნენ!

III. თანამედროვე ეროვნულობის დასაფუძნებლად საკმარის საფუძველს ვერც რელიგია შემოგვთავაზებს. თავდაპირველად რელიგიის თვით არსებობაც კი სოციალურ ჯგუფზე იყო დამოკიდებული. სოციალური ჯგუფი გვარის განვრცობას წარმოადგენდა. რელიგია, ადათები სხვა არაფერი იყო, თუ არა გვარის ადათები. ათენის რელიგიას თვით ათენის, მისი მისტიკური დამაარსებლის, მისი კანონის, მისი ჩვეულების კულტი შეადგენდა. მასში არავითარი დოგმატური თეოლოგია არ იგულისხმებოდა. ეს რელიგია გახლდათ, ამ სიტყვის, სრული აზრით, სახელმწიფო რელიგია. ვინც ამ რელიგიაზე უარს იტყოდა, ათენელი ვერ იქნებოდა. ამ შემთხვევაში საქმე, არსებითად, აკროპოლისის პერსონიფიცირებულ კულტთანა გვაქვს. აგლავრეს* საკურთხეველზე დაფიცება ნიშნავდა აღთქმის დადებას, რომ მზად ხარ, მამულს შესწირო თავი. ეს რელიგია იმის ექვივალენტია, რაც ჩვენთან წილისყრის აქტი ან დროშის კულტია. ასეთ კულტში მონაწილეობაზე უარის თქმა იმის ბადალი იყო, რაც ჩვენს საზოგადოებაში სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებაა. ეს ნიშნავდა გამოგეცხადებინა, ათენელი არა ვარო. მეორეს მხრივ ცხადია, რომ არაათენელისთვის ასეთ კულტს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა; არც პროზელიტიზმი[25] ყოფილა გავრცელებული უცხოელებისთვის ამ კულტის თავზე მოხვევის მიზნით; ათენელი მონები მას არ მისდევდნენ. ასეთივე მდგომარეობა იყო შუა საუკუნეების ზოგიერთ პატარა რესპუბლიკაშიც. კარგი ვენეციელი ვერ იქნებოდი, წმინდა მარკოზს ერთგულებას თუ არ შეჰფიცავდი; კარგი ამალფიელი[26] რომ ყოფილიყავი, წმინდა ანდრია ყველაზე მაღალ ადგილზე უნდა დაგეყენებინა წმინდანთა პანთეონში. ის, რაც შემდგომ ხანებში დევნად, ტირანიად იქცა, ამ პატარ-პატარა საზოგადოებებში კანონიერად მიიჩნეოდა და ისევე არ ითვლებოდა რაიმე განსაკუთრებულად, როგორც ჩვენში ოჯახის უფროსისათვის დღესასწაულის მილოცვა ან მისთვის საახალწლო სურვილების გამოცხადება.

ის, რაც სპარტისა და ათენის მიმართ მართალია, ძალას კარგავს ალექსანდრეს დაპყრობითი ომების შედეგად შექმნილ სამეფოებში და მით უმეტეს მთელ რომის იმპერიაში. ანტიოქე ეპიფანეს[27] დევნა იმისთვის, რომ აღმოსავლეთში იუპიტერ ოლიმპიელის კულტს ნერგავდა, რომის იმპერიაში განხორციელებული რეპრესიები ეგრეთწოდებული სახელმწიფო რელიგიის შესანარჩუნებლად იყო შეცდომა, დანაშაული, ენით გამოუთქმელი უაზრობა. დღეს სიტუაცია სრულიად ნათელია. აღარ არსებობს ერთგვაროვნად მოაზროვნე მასა. ყველა საკუთარი მრწამსის მიხედვით ფიქრობს და მოქმედებს, როგორც შეუძლია და როგორც სურს. აღარ არ-

* აგლავრე თვით აკროპოლისია, რომელსაც თავი მამულის სახსნელად შეუწირავს.

სებობს სახელმწიფო რელიგია; შეგიძლიათ იყო ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი და ამავე დროს კათოლიკე, პროტესტანტი, იუდეველი, საერთოდ არ აღასრულო არანაირი კულტი. რელიგია პირად საქმედ იქცა; იგი ყოველი ადამიანის სინდისზეა მიმართული. ერების დაყოფა კათოლიკურად და პროტესტანტულად აღარ არსებობს. რელიგია, რომელმაც ამ ორმოცდათორმეტი წლის წინ ეგზომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბელგიის ჩამოყალიბებაში, მხოლოდ თითოეული ადამიანის სინდისის მიმართ ინარჩუნებს მნიშვნელობას; მაგრამ ის თითქმის არანაირ გავლენას არ ახდენს მოსაზრებებზე, რომლებიც გადამწყვეტია ხალხებს შორის საზღვრების დადგენისას.

IV. საერთო ინტერესები უეჭველად ძლიერ მყარად აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანებს. მაშასადამე, ინტერესები საკმარისია საიმისოდ, რომ ერი შექმნას? არა მგონია. ინტერესთა ერთობიდან სავაჭრო ხელშეკრულებები გამოდის. ეროვნებაში გრძნობის მომენტი მონაწილეობს; ის ერთდროულად სულიცაა და სხეულიც; Zollverein[28] მამული ვერ იქნება.

V. გეოგრაფია, ის, რასაც ბუნებით საზღვრებს უწოდებენ, უთუოდ ანგარიშგასაწევი მომენტია ერთა ურთიერთგამიჯვნაში. გეოგრაფია ისტორიის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია. მდინარეები რასებს წინ მიუძღოდა, მთები მათ ადგილზე აკავებდა. პირველნი ხელს უწყობდნენ, მეორენი კი ზღუდავდნენ ისტორიულ მოძრაობას. ხომ არ შეიძლება აქედან გამომდინარე ვთქვათ, როგორც ამას ზოგიერთი დაჯგუფება აკეთებს, რომ ერის საზღვრები რუკაზეა დაწერილი და რომ მავან ერს აქვს უფლება მიითვისოს ის ადგილები, რომლებიც მას ზოგიერთი კონტურის მოსამრგვალებლად სჭირდება, რათა მიაღწიოს გარკვეულ მთას ან გარკვეულ მდინარეს, აპრიორულად რომ მიეწერა საზღვრად ყოფნის უპირატესი ...

და ამავე დროს უფრო დამღუპველი დოქტრინა. მისი მეშვეობით ყოველგვარი ძალადობის გამართლება შეიძლება. ჯერ ერთი, საკითხავია, უფრო მეტად მთები თუ მდინარეები გამოდგება ამ ვითომ ბუნებით საზღვრებად? უეჭველია, რომ მთები ურთიერთგამომყოფი ფაქტორია; მაგრამ მდინარეებს უფრო შეერთება ძალუძთ. ამასთან ერთად, ყოველმა ქედმა როდი მოახერხა სახელმწიფო საზღვრად ქცეულიყო. რომელი მთებია გამყოფი და რომელი არა? ბიარიციდან ტორნიომდე არც ერთ მდინარის შესართავს არა აქვს მეორეზე უფრო მეტად სასაზღვრო ხასიათი. ისტორიას რომ მოსდომებოდა, ლუარას, სენას, მეზს, ელბას, ოდერს რაინის მსგავსად დააკისრებდა ბუნებითი საზღვრის ფუნქციას, რომელიც ამდენჯერ გამხდარა საბაბი ძირეული უფლების დასარღვევად, ნამდვილად ადამიანის ნებაში რომ მდგომარეობს. ლაპარაკობენ სტრატეგიულ მოსაზრებებზე. აბსოლუტური ამ ქვეყნად არაფერია; ცხადია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში გარკვეული დათმობები უნდა გაკეთდეს. მაგრამ საჭირო არ არის, ეს დათმობები მეტისმეტად შორს წავიდეს, თორემ ყველა თავისი სამხედრო საჭიროების დაკმაყოფილებას მოითხოვს და ომებს ბოლო აღარ ექნება. არა, მიწა, ისევე როგორც რასა, ერს არ ქმნის. მიწა იძლევა სუბსტრატს, ბრძოლისა და შრომის ველს; ადამიანი იძლევა სულს. ადამიანია ყველაფერი იმ წმინდა რამის ჩამოყალიბებაში, რასაც ხალხი ჰქვია. არაფერი მატერიალური ამას არ ეყოფა. ერი არის გონითი პრინციპი, მიღებული ისტორიის დახლართული ხდომილების შედეგად, გონითი ოჯახი და არა მზის კონფიგურაციით განსაზღვრული ჯგუფი.

ჩვენ განვიხილეთ ის, რაც არ კმარა ასეთი გონითი პრინციპის შესაქმნელად: რასა, ენა, ინტერესები, რელიგიური ერთობა, გეოგრაფია, სამხედრო აუცილებლობა. კიდევ რა არის საჭი-

ვთქვი, ამის შემდეგ დიდხანს აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

III

ერი არის სული, გონითი პრინციპი. ამ სულს, ამ გონით პრინციპს შეადგენს ორი რამ, რაც, მართალი რომ ვთქვათ, სინამდვილეში ერთი და იგივეა. ერთი წარსულშია, მეორე — აწმყოში. ერთი არის მოგონებათა მდიდარი მემკვიდრეობის საერთო ფლობა; მეორეა აქტუალური თანხმობა, ერთად ცხოვრების სურვილი, მიღებული მემკვიდრეობის განუყოფელი შენარჩუნების ნება. ადამიანი, ბატონებო, ერთბაშად არ ყალიბდება. ერი, ისევე როგორც ინდივიდი, ხანგრძლივი წარსული ძალისხმევის, მსხვერპლისა და თავგანწირვის შედეგია. წინაპართა კულტი ყველა კულტთაგან ყველაზე უფრო კანონიერია; წინაპრებმა შეგვქმნეს იმად, რაც ვართ. გმირული წარსული, სახელოვანი ადამიანები, დიდება (მე ნაღდი დიდება მაქვს მხედველობაში) — აი ის სოციალური კაპიტალი, რომლის საფუძველზეც ეროვნული იდეა ყალიბდება. საერთო დიდება წარსულში, საერთო ნება აწმყოში; ერთად გაკეთებული დიადი საქმეები და კიდევ ასეთი საქმეების კეთების სურვილი — აი არსებითი პირობები ხალხად ყოფნისა. სიყვარული პროპორციულია გაღებული მსხვერპლისა, გადატანილი ტანჯვისა. სიყვარული შეიძლება სახლისა, რომელსაც ააშენებ და შვილებს გადასცემ. სპარტელთა სიმღერა: „ჩვენ ის ვართ, რაც თქვენ იყავით; ჩვენ ის ვიქნებით, რაც თქვენ ხართ“ ამ თავის სიმარტივეში ყოველგვარი სამშობლოსადმი მიმართული უმოკლესი ჰიმნია.

დიადი მემკვიდრეობა და სევდისმომგვრელი დანაკარგი წარსულში, მომავალში განსახორციელებელი არანაკლებ დიადი საქმეების პროგრამა; ერთობლივი ტანჯვა, ლაღობა, იმედები — ყოველივე ის გაცილებით უფრო მეტად

სტრატეგიულ ჩანაფიქრთან შესაბამისობაში მოყვანილი საზღვრები; ყოველივე ეს გასაგებია რასობრივი და ენობრივი განსხვავებების მიუხედავად. ამ წუთში ვთქვი: „ერთობლივი ტანჯვა“; დიახ, ერთობლივად განცდილი ტანჯვა ერთობლივ სიხარულზე მეტად კრავს. გლოვა უფრო ქმნის ეროვნულ მეხსიერებას, ვიდრე ზეიმი; რამეთუ ის ვალდებულებას გვაკისრებს; ის საერთო ძალისხმევას გვთხოვს.

მაშასადამე, ერი არის დიდი სოლიდარობა, შექმნილი უკვე გაღებული და მომავალში აუცილებელი მსხვერპლის განცდით. იგი გულისხმობს წარსულს; მაგრამ აწმყოში ყოველივეს აჯამებს ხელშესახები საქმე, თანხმობა, ერთობლივი ცხოვრების გაგრძელების ნათლად გამოხატული სურვილი. ერის არსებობა (მაპატიეთ ეს მეტაფორა) ყოველდღიური პლებისციტია, ისევე როგორც ინდივიდის არსებობაა სიცოცხლის უწყვეტი აღიარება. ოჰ, მე ვიცი, ეს ნაკლებ მეტაფიზიკურია, ვიდრე ღვთაებრივი კანონი, ნაკლებად სასტიკია, ვიდრე ეგრეთწოდებული ისტორიული სამართალი. აზროვნების იმ წესის მიხედვით, მე რომ წარმოგიდგინეთ, ერს მეფეზე მეტად არა აქვს უფლება, რომელიმე პროვინციას უთხრას: „შენ მე მეკუთვნი, ამიტომ უნდა აგიღო“. პროვინცია ჩვენთვის მისი მაცხოვრებლებია; თუ ვინმეს უნდა დავეკითხოთ ასეთ საქმეზე, მხოლოდ და მხოლოდ მაცხოვრებლებს. ერი არასოდეს არ არის ნამდვილად დაინტერესებული იმით, რომელიმე ქვეყანა მიიერთოს ან შეინარჩუნოს მისივე ნების საწინააღმდეგოდ. ერის ნება, საბოლოო ჯამში, ერთადერთი კანონიერი კრიტერიუმია, რომელსაც კვლავ და კვლავ უნდა მივუბრუნდეთ.

ჩვენ განვდევნეთ პოლიტიკიდან მეტაფიზიკური და თეოლოგიური აბსტრაქციები. რა დაგვრჩა ამის შემდეგ? დაგვრჩა ადამიანი, მისი სურვილები, მისი მოთხოვნილებები. თქვენ მიტყ-

ბევრ ეროვნულ ორგანიზმებს ხშირად არცთუ მკაფიოდ გააზრებული ნებელობის ხელში მოაქცევს, სეცესია[29] და, საბოლოოდ, ერების წვრილ-წვრილად დაქუცმაცება მოჰყვება. ცხადია, რომ ასეთ საქმეში არც ერთ პრინციპს არ უნდა მივენდოთ ბოლომდე. ამ რიგის ჭეშმარიტებათა რეალობისადმი მიყენება მხოლოდ ურთიერთკავშირში და მეტად ზოგადი სახით შეიძლება. ადამიანთა ნება-სურვილი ცვალებადია; მაგრამ რა არის უცვლელი ამ ქვეყნად? ერები ასეთი მარადიული წარმონაქმნები არაა. მათ აქვთ დასაწყისი და დასასრული. შესაძლოა, ისინი ევროპულმა კონფედერაციამ შეცვალოს. მაგრამ ასეთი არ არის კანონი საუკუნისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. დღევანდელ დღეს ერების არსებობა კარგია, აუცილებელიც კი. ისინი ქმნიან გარანტიას თავისუფლებისა, რომელიც დაიღუპებოდა, მსოფლიოს რომ ერთადერთი კანონი და ერთადერთი ბატონი ჰყოლოდა.

თავიანთი განსხვავებული, ხშირად კი საპირისპირო უნარების მეშვეობით ერები ცივილიზაციის საერთო საქმეს ემსახურებიან; ყველას შეაქვს თავისი ნოტი კაცობრიობის დიდ ორკესტრში, რომელიც, საერთო ჯამში, ჩვენთვის მისაღწევი ყველაზე მაღალი იდეალური რეალობაა. ვინც სხვებს მოწყვეტილია, იმათი პარტიები სუსტად ჟღერს. ხშირად ვეუბნები ჩემს თავს: ერებისთვის ღირსებებად ჩათვლილი თვისებები რომ ცალკეულ ინდივიდს ჰქონდეს, იგი ხომ ყველაზე აუტანელი იქნებოდა ადამიანებს შორის! წარმოვიდგინოთ კაცი ამაო დიდებით შეპყრობილი, ეჭვიანი, თავკერძა, ჩხუბისთავი, ქარქაშიდან ხმლის ამოღების გარეშე რომ დახმარების ხელს არავის გაუწვდის. მაგრამ ყველა ეს დისონანსი ერთობლიობაში იკარგება. საბრალო კაცობრიობავ! რამდენი ტანჯვა გამოგივლია! რამდენი განსაცდელის გადატანა მოგისწრია! დაე, სიბრძნის სულმა შეგანახვინოს თავი ათას ხიფათში, გზაზე რომ დაგხვდება!

ვაჯამებ, ბატონებო. ადამიანი არ არის არც მისი რასის, არც მისი ენის, არც მისი რელიგიის, არც მდინარის კალაპოტის და არც მის გარშემო აღმართული მთების მონა. ადამიანთა დიდი გაერთიანება, საღი სულითა და ცხელი გულით, ქმნის მორალურ შეგნებას, რომელსაც ერი ეწოდება. სანამ ეს მორალური ცნობიერება ამტკიცებს თავის ძალას მსხვერპლით, რომელიც მოითხოვს ინდივიდის თავგანწირვას ერთობის ინტერესებისათვის, ის კანონიერია, მას არსებობის უფლება აქვს. თუ ერის საზღვრები ეჭვის ქვეშ დადგება, დაეკითხეთ სადავო მოსახლეობას. მას სრული უფლება აქვს საკუთარი მოსაზრება ჰქონდეს ამ საკითხზე. ეს ღიმილს გამოიწვევს ჩვენს პოლიტიკის დიდოსტატებში, ამ უცთომელ ხალხში, რომლებიც მთელ თავიანთ ცხოვრებას შეცდომებში ატარებენ და თავიანთი მაღალი პრინციპების სიმაღლიდან ცხვირაბზეკით გადმოხედავენ ხოლმე ჩვენს მდაბიო აზრებს. „მოსახლეობას დაეკითხეთ, ფიჰ! რა გულუბრყვილობაა! ესაა თქვენი უბადრუკი ფრანგული იდეები, ვითომ დიპლომატია და ომი შეიძლება ბავშვურად მარტივი ხერხებით შეიცვალოს". მოვიცადოთ, ბატონებო; დამთავრდეს დიდოსტატთა ბატონობის ხანა; ვისწავლოთ ციხე-სიმაგრის შიგნით გამაგრება. იქნებ, ხანგრძლივი უნაყოფო მეცადინეობის შემდეგ, დაუბრუნდნენ ჩვენს თავმდაბალ ემპირიულ გადაწყვეტილებებს. თუ გინდა მომავალში მართალი აღმოჩნდე, თანახმა უნდა იყო, გარკვეულ დროს შენი აზრები არამოდურად ჩაითვალოს.



# შენიშვნები

1. კაროლინგები — სამეფო და საიმპერატორო დინასტიაა ფრანკთა სახელმწიფოში, რომლის აღზევება იწყება VII საუკუნეში და მთავრდება იმპერიის გაყოფით ვერდენის ზავის (843 წ.) შედეგად.
2. სიდონი — ახლანდელი საიდა (ლიბანი), ფინიკიელთა ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე.
3. ტიროსი — ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო.
4. ბურგუნდია, ნორმანდია ამჟამად საფრანგეთის პროვინციებია, ლომბარდია — იტალიისა.
5. იგულისხმება ოტომანთა იმპერია.
6. გერმანიკული ტომების — ფრანკების, გუთების, ნორმანების და ა. შ. — წინამძღოლები, რომლებმაც დაპყრობითი ომების შედეგად საკუთარი სამეფოები შექმნეს.
7. ბრიტები — კელტური ტომები, ბრიტანეთის მკვიდრი მოსახლეობა ძვ. წ. VIII — ახ. წ. V საუკუნეებში.
8. გრიგოლ ტურელი, გრეგუარ დე ტური (538—594) — წმინდანად შერაცხული ისტორიკოსი და საეკლესიო მოღვაწე, ფრანკთა მემატიანე.
9. ჰუგო კაპეტი — კაპეტთა (კაპეტინგთა) დინასტიის დამაარსებელი (987 წ.)
10. იგულისხმება ავსტრია-უნგრეთის იმპერია.
11. ბოჰემია — დღევანდელი ჩეხია.
12. სალონიკი — დღეს ქალაქია საბერძნეთში.
13. სმირნა — დღეს თურქეთის ქალაქი იზმირი.
14. ბურგონდები, ტაიფალები, ვისიგუთები — გერმანიკული ტომები; ალანები — ირანული მოდგმის ხალხი, რომელმაც 406 წელს გალია დაიპყრო.
15. ბართლომეს ღამე — კათოლიკეების მიერ ჰუგენოტების მასობრივი ჟლეტა პარიზში 1572 წ. 24 აგვისტოს.
16. იგულისხმება ავსტრია-უნგრეთის იმპერია.
17. იგულისხმება ვილჰელმ I ორანელის (1533—1584) როლი ჰოლანდიის განთავისუფლებაში.
18. საფრანგეთის პროვინციები.
19. ჰენგისტი — მისი ხელმძღვანელობით ანგლო-საქსები პირველად შეიჭრნენ ბრიტანეთის კუნძულზე და დაამარცხეს ბრიტები 428 თუ 450 წელს.
20. კნუტი, კნუდი — ინგლისის (1016-17, 1035), დანიის (1018-35) და ნორვეგიის (1028-35) მეფე.
21. ვილჰელმ დამპყრობელი — ნორმანდიის ჰერცოგი (1035—1087), რომელმაც 1066 წელს ინგლისი დაიპყრო.
22. ჯერსი, გერნსი — დიდი ბრიტანეთის კუთვნილი კუნძულები საფრანგეთის სანაპიროსთან.
23. ფილიპ-ოგიუსტი — მეფე კაპეტინგების დინასტიიდან, მეფობდა 1180—1223 წწ.
24. ვილცები, ობოტრიტები (აბოდრიტები) — დას. სლავური ტომები.
25. პროზელიტიზმი — ახალ რჯულზე მოქცევა.
26. ამალფი — ქალაქი სამხრ. იტალიაში, 839 წლიდან — დამოუკიდებელი ქალაქი-რესპუბლიკა, 958-დან — ამალფის საჰერცოგოს დედაქალაქი.
27. ანტიოქე ეპიფანე — სირიის მეფე ძვ. წ. 175—164 წლებში.
28. საბაჟო ხელშეკრულება (გერმ.)
29. სეცესია — გამოყოფა.

ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გია ნოდიამ